

# მოქალაქის გზამკვლევი

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტი და 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი

**შესავალი ..... 3**

ტერმინთა განმარტება..... 4

საბიუჯეტო პროცესი ..... 5

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო კალენდარი ..... 8

თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ფინანსური დოკუმენტები ..... 13

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის სტრუქტურა ..... 14

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები.. 15

**მცხეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები..... 21**

ინფრასტრუქტურის განვითარება 02 00 ..... 23
დასუფთავება და გარემოს დაცვა 03 00 ..... 25
განათლება 04 00 . ..... 26
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 05 00 ..... 26
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 06 00 .....27
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 01 00 ..... 21

**ბიუჯეტის სტრუქტურა ..... 28**

მცხეთის მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 2027 წლისთვის:

**შემოსულობები ..... 33**
შემოსავლები ..... 34
გადასახადები .....34
გრანტები ..... 35
სხვა შემოსავლები .....35

**მუნიციპალიტეტის გადასახდელები** .....36
ხარჯები .....38
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა (ფუნქციონალური კლასიფიკაცია) ..... 40

## შესავალი

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი და ბიუჯეტი უნდა იქმნებოდეს მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობითა და აქტიური ჩართულობით. ხელისუფლებისა და მოქალაქეების თანამშრომლობა ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობას და საჯარო მმართველობის გაუმჯობესებას.
იმისათვის, რომ მოქალაქემ შეძლოს საბიუჯეტო პროცესებში ჩართვა, პირველ რიგში, უნდა იცოდეს, როდის იწყება ბიუჯეტზე მუშაობა და თავად რა ფორმით შეუძლია ჩაერთოს ამ პროცესში.

**! ! ! თქვენ უფლება გაქვთ**

| | |
|---|---|
| **პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების ეტაპზე 1მარტიდან - 15ნოემბრამდე:** | • ჩაერთოთ საჭიროებათა გამოვლენაში;<br>• მონაწილეობა მიიღოთ პრიორიტეტების შერჩევის მიზნით ჩატარებულ გამოკითხვებში;<br>• დაესწროთ საჯარო შეხვედრებს;<br>• მოამზადოთ და საკრებულოში წარადგინოთ პეტიცია;<br>• წერილობითი ან ზეპირი ინიციატივით მიმართოთ ადგილობრივ ხელისუფლებას და მოითხოვოთ ბიუჯეტში თქვენთვის მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინება |
| **ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში** | • გაეცნოთ მერიის მიერ საკრებულოში წარდგენილ ბიუჯეტის პროექტს;<br>• მონაწილეობა მიიღოთ ბიუჯეტის საჯარო განხილვებში და შეკითხვით მიმართოთ თვითმმართველობის თანამდებობის პირებს;<br>• დაესწროთ ბიუჯეტის განხილვის პროცესს საკრებულოსა და საკრებულოს კომისიებში; |
| **ბიუჯეტის შესრულების და ანგარიშგების ეტაპზე** | • მონიტორინგი გაუწიოთ ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვას და გამოითხოვოთ საჭირო დოკუმენტები მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურებიდან;<br>• გაეცნოთ ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს;<br>• დაესწროთ მერისა და საკრებულოს დეპუტატების მიერ ანგარიშის ჩაბარებას; |

წინამდებარე გზამკვლევში მოცემულია მცხეთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები და 2027-2030 წლების პრიორიტეტები და დაგეგმილი პროგრამები.

## ტერმინთა განმარტება

**ბიუჯეტი** - საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ;

**დამტკიცებული ბიუჯეტი** - შესაბამისი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი;

**დაზუსტებული ბიუჯეტი** -კორექტირებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;

**ასიგნება** - საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში გადახდის განხორციელების უფლებამოსილება;

**პრიორიტეტი** - საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებით გათვალისწინებული ასიგნებების ძირითადი მიმართულება, რომლის ფარგლებშიც მხარჯავი დაწესებულებები/საბიუჯეტო ორგანიზაციები ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს. პრიორიტეტის ფარგლებში შესაძლებელია ასევე გათვალისწინებულ იქნეს სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები;

**პროგრამა** - ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით, ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად და რომელთა განხორციელებისთვის პასუხისმგებელია ერთი მხარჯავი დაწესებულება;

**ქვეპროგრამა** - მხარჯავი დაწესებულების პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა;

**პროფიციტი** - თუ ბიუჯეტის დაგეგმილი შემოსავალი აჭარბებს გასავალ ნაწილს, მაშინ საუბრობენ საბიუჯეტო პროფიციტზე;

**დეფიციტი** - თუ ბიუჯეტის დაგეგმილი გასავალი აჭარბებს შემოსავალ ნაწილს, მაშინ საუბრობენ საბიუჯეტო დეფიციტზე.

## საბიუჯეტო პროცესი

• ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი;
• ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისგან, ისე სახელმწიფო ბიუჯეტისგან და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისგან;
• მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი შემოსულობები (სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ფინანსური სახსრები);
• თვითმმართველი ერთეულის ხელისუფლება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას საკუთარი ფინანსების ხარჯვაზე;
• საქართველოს ცენტრალურ და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებებს უფლება არა აქვთ, ჩაერიონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებებში. მუნიციპალიტეტში მომდევნო წლის ბიუჯეტზე მუშაობა 10 თვით ადრე იწყება. მაგალითად, მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის მომზადებაზე მერიამ მუშაობა 2026 წლის 1 მარტს დაიწყო და 2026 წლის 15 ნოემბრისთვის საკრებულოში წარადგინა.

საბიუჯეტო ციკლი შემდეგ ეტაპებს მოიცავს:



ბიუჯეტზე პასუხისმგებლობა თვითმმართველობის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს შორის შემდეგი სახით არის გადანაწილებული:

• ბიუჯეტის პროექტის მომზადება:




ქვემოთ მოცემულ გრაფიკში წარმოდგენილია საბიუჯეტო ციკლის ეტაპების თანმიმდევრობა.
ბიუჯეტირების პროცესი 3 ძირითად ეტაპს მოიცავს და სამივე ფაზაში თქვენი, როგორც მოქალაქის ჩართულობა უმნიშვნელოვანესია. ამ პროცესში კი სხვადასხვა მექანიზმების საშუალებით შეგიძლიათ ჩაერთოთ.

| | |
|---|---|
| ბიუჯეტის პროექტის მომზადება 1 მარტიდან 15 ნოემბრამდე | • თქვენს დასახლებებში არსებული პრობლემების შესახებ მერიისა და საკრებულოსთვის ინფორმაციის მიწოდება;<br>• ინიციატივის წარდგენა<br>• პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით ჩატარებულ გამოკითხვებში მონაწილეობა;<br>• დისკუსიებსა და სხვადასხვა საჯარო შეხვედრებზე დასწრება |
| ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება 15 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე | • ბიუჯეტის საჯარო განხილვებში მონაწილეობა;<br>• საკრებულოს კომისიების სხდომაზე დასწრება<br>• საკრებულოს სხდომაზე დასწრება |
| ბიუჯეტის შესრულება და ანგარიშგება 1 იანვრიდან 1 მარტამდე | • ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგი<br>• ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა ბიუჯეტის შესრულების შესახებ საკრებულოში განხილვებში მონაწილეობა;<br>• მერიის მიერ წლიური ანგარიშის წარდგენაზე დასწრება და შეკითხვების დასმა |

## ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო კალენდარი

| თარიღი/ვადა | | აქტივობა |
|---|---|---|
| 2026 | 1 მარტი | მერი გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანება), რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების ფორმირებისთვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები. |
| | 1 მარტი | სამართლებრივი აქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტში იქმნება სამუშაო ჯგუფი და იწყება მუშაობა პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების და ბიუჯეტის პროექტის შემუშავებაზე |
| | 1 მარტი - 7 მარტი | მერის სამართლებრივი აქტი, რომლის მიხედვითაც შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და განისაზღვრა პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის შედგენისთვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა, წარდგენის ვადები, ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე. |
| | 25 მარტი - 31 მაისი | მოსახლეობის საჭიროებათა კვლევის შესწავლის მიზნით მერის წარმომადგენლები იწყებენ მოსახლეობასთან შეხვედრებს, რომლის მიზანია შემდეგი ინფორმაციის მიღება: 1) რამდენად კმაყოფილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობა გასულ წელს განხორციელებული პროგრამებით. 2) მოქალაქეთა აზრით, რომელია ის პრიორიტეტული სფეროები, რომლებშიც ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა გააუმჯობესოს მომსახურების მიწოდება მომავალ წლებში. |
| 2026 | 10 აპრილი | დარგობრივი სამსახურები და იურიდიული პირები საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს უგზავნიან მათი ბიუჯეტისა და პროგრამების 3 თვის ანგარიშს (2026 წელი) პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად |
| | 20 აპრილი | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ამზადებს ბიუჯეტის შესრულების 3 თვის ანგარიშს (2026 წელი) პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად და დარგობრივი სამსახურების და იურიდიული პირების ხელმძღვანელებთან ერთად წარუდგენს სამუშაო ჯგუფს. |
| | 25 აპრილი - 30 აპრილი | მუნიციპალიტეტის მერი ბიუჯეტის შესრულების 3 თვის ანგარიშს (2026 წელი) წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს |
| | 30 აპრილი | მუნიციპალიტეტი ბიუჯეტის შესრულების 3 თვის ანგარიშს (2026 წელი) აქვეყნებს მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე. |

| თარიღი/ვადა | | აქტივობა |
|---|---|---|
| 2026 | 5 ივნისი | სამუშაო ჯგუფი იკრიბება პრიორიტეტების დასადგენად და/ან უკვე განსაზღვრული პრიორიტეტების დასახარისხებლად, რაც უნდა განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მრავალწლიანი ან საშუალოვადიანი გეგმის დოკუმენტის, სიტუაციის ანალიზისა და/ან მოქალაქეთა კვლევის შედეგების საფუძველზე (არჩევით). |
| 2026 | 1 ივლისი | პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები იტვირთება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე. |
| | 1 ივლისი -10 ივლისი | დარგობრივი სამსახურები და იურიდიული პირები საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს უგზავნიან მათი ბიუჯეტისა პროგრამების 6 თვის (2026 წელი) ანგარიშს პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად. |
| | 20 ივლისი | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, ამზადებს ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიშს (2026 წელი) პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად და დარგობრივი სამსახურების და იურიდიული პირების ხელმძღვანელებთან ერთად წარუდგენს სამუშაო ჯგუფს. |
| | 25 ივლისი - 30 ივლისი | მუნიციპალიტეტის მერი ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიშს (2026 წელი) წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს |
| | 30 ივლისი | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიშს (2026 წელი) აქვეყნებს მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე |
| | 25 ივლისი | დარგობრივი სამსახურები და საბიუჯეტო ორგანიზაციები საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს წარუდგენენ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის 2025 წლის შეფასებას, ინფორმაციას 2026 წლის სამოქმედო გეგმის და 2027-2030 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 დანართების შესაბამისად. |
| | 1 ივნისი - 1 აგვისტო | სამუშაო ჯგუფი არჩეული პრიორიტეტის ფარგლებში (შესაძლებელია პრიორიტეტი არ დაკონკრეტდეს) აცხადებს მოქალაქეებიდან ახალი ინიციატივების მიღებას ახალ პროგრამებთან/ქვეპროგრამებთან/ღონისძიებებთან დაკავშირებით, პროცესის მეთოდოლოგიის და ვადების მითითებით. |
| | 1 აგვისტო | საბიუჯეტო ორგანიზაციები და პასუხისმგებელი სამსახურები ამზადებენ პროგრამის/ქვეპროგრამის შესახებ ინფორმაციას, აფასებენ მოქალაქეთა წინადადებებს ახალ პროგრამებთან/ქვეპროგრამებთან დაკავშირებით. ითვალისწინებენ ან არ ითვალისწინებენ ამ წინადადებებს მათი ობიექტური საფუძვლიანობიდან გამომდინარე და წარადგენენ სამუშაო ჯგუფის სხდომაზე. |

| თარიღი/ვადა | | აქტივობა |
|---|---|---|
| | 1 აგვისტო - 5 აგვისტო | სამუშაო ჯგუფი სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად (მათ შორის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წარმომადგენლებთან) იხილავს წარმოდგენილ პროექტებს და შემდგომი რეაგირების მიზნით უგზავნის შესაბამის სამსახურებს. |
| | 5 აგვისტო | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური სამუშაო ჯგუფთან ერთად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 15 ივლისს მიღებული ძირითადი პარამეტრების გათვალისწინებით, ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტს და წინადადებას ზღვრული მოცულობების თაობაზე, რომელსაც იწონებს მუნიციპალიტეტის მერი. |
| 2026 | 5 აგვისტო | ზღვრული მოცულობები ჭერებისა და რიცხოვნობის მითითებით, ეგზავნებათ საბიუჯეტო ორგანიზაციებს/სტრუქტურულ ერთეულებს და ისინი იწყებენ მუშაობას განაცხადის ფორმებზე |
| 2026 | 5 აგვისტო - 15 აგვისტო | სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომლითაც განსაზღვრულია პრიორიტეტების 2027-2030 წლების ასიგნებების ზღვრული მოცულობები (ჭერები), იტვირთება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე. |
| 2026 | 20 აგვისტო | საბიუჯეტო ორგანიზაციები შევსებულ განაცხადის ფორმებს დამატებითი ასიგნებების მოთხოვნებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), წარუდგენენ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს. |
| 2026 | 25 აგვისტო | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, იხილავს წარმოდგენილ განაცხადის ფორმებს და ამზადებს საშუალოვადიან სამოქმედო გეგმის შესახებ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს და წარუდგენს სამუშაო ჯგუფს. |
| 2026 | 1 სექტემბერი | მუნიციპალიტეტის მერი ამტკიცებს საშუალოვადიან სამოქმედო გეგმას. |
| 2026 | 1 ოქტომბერი | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური საშუალოვადიან სამოქმედო გეგმის, დარგობრივი სამსახურების და იურიდიული პირების მიერ შევსებული საბიუჯეტო განაცხადების საფუძველზე ამზადებს მომავალი წლის წლიური ბიუჯეტის პროექტის წინასწარ ვარიანტს (მათ შორის ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში) |
| 2026 | 15 ოქტომბერი | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ბიუჯეტის პროექტის წინასწარ ვარიანტს განსახილველად წარუდგენს სამუშაო ჯგუფს, სამუშაო ჯგუფში ასევე წარდგენილი უნდა იყოს სამსახურების მოთხოვნები დამატებით ასიგნებებზე შესაბამისი სამიზნე მაჩვენებლებით. |

| თარიღი/ვადა | | აქტივობა |
|---|---|---|
| | 5 ოქტომბერი - 25 ოქტომბერი | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 5 ოქტომბერს მიღებული საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით, ამზადებს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს, განმარტებით ბარათს თანდართული მასალებით და პრიორიტეტების დოკუმენტს და წარუდგენს სამუშაო ჯგუფს. |
| | 10 ოქტომბერი | დარგობრივი სამსახურები და იურიდიული პირები საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს უგზავნიან მათი ბიუჯეტისა და პროგრამების 9 თვის ანგარიშს (2026 წელი) პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად. |
| | 20 ოქტომბერი - 30 ოქტომბერი | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, ამზადებს ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიშს (2026 წელი) პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად და დარგობრივი სამსახურების და იურიდიული პირების ხელმძღვანელებთან ერთად წარუდგენს სამუშაო ჯგუფს. |
| | 30 ოქტომბერი | მუნიციპალიტეტის მერი ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიშს (2026 წელი) წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს |
| | 31 ოქტომბერი | მუნიციპალიტეტი ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიშს (2026 წელი) აქვეყნებს მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე |
| | 25 ოქტომბერი - 31 ოქტომბერი | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური (შესაძლებელია მომსახურების შესყიდვა) ამზადებს მოსახლეობისთვის გასაგებ ენაზე ბიუჯეტის პროექტის გზამკვლევს |
| 2026 | 1 ნოემბერი - 15 ნოემბერი | თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო (მერი) მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტს და ბიუჯეტის პროექტს, თანდართულ მასალებთან ერთად წარუდგენს საკრებულოს. |
| | 15 ნოემბერი | საკრებულოსთვის წარდგენილი ბიუჯეტის პროექტის გამოქვეყნებას საჯარო განხილვისთვის და ბიუჯეტის პროექტის გზამკვლევის დარიგებას დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოფს ადმინისტრაციული სამსახური. |
| | 15 ნოემბერი | თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო (მერი) მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტს წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს; |
| 2026 | 15 ნოემბერი - 20 ნოემბერი | ბიუჯეტის პროექტი, პროგრამული ბიუჯეტის დანართი, პრიორიტეტების დოკუმენტი, რომლებიც მომზადებულია კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმატით, ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე. |
| | 25 ნოემბერი | შენიშვნების არსებობის შემთხვევაში საკრებულო ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს მერს. |

| თარიღი/ვადა | | აქტივობა |
|---|---|---|
| | 10 დეკემბერი | ბიუჯეტის პროექტის და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტს მუნიციპალიტეტის მერი წარუდგენს საკრებულოს. |
| | 31 დეკემბერი | საკრებულო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ. |
| 2027 | 11 იანვარი | ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან არა უგვიანეს 20 დღისა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს. |
| 2027 | 11 იანვარი | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური გასული წლების და სხვა საჭირო მონაცემებზე დაყრდნობით ამზადებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა და იურიდიული პირების ბიუჯეტის კვარტალურ ან/და ყოველთვიურ განწერას საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. |
| | 10 თებერვალი - 20 თებერვალი | დარგობრივი სამსახურები და იურიდიული პირები საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს უგზავნიან მათი ბიუჯეტის და პროგრამების წლიურ ანგარიშს (დანართი N7) პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად. |
| | 10 თებერვალი - 20 თებერვალი | სამუშაო ჯგუფი შეისწავლის და განიხილავს წარმოდგენილ შესრულების ანგარიშებს და შეუძლია მიაწოდოს რეკომენდაციები პროგრამის გაუქმებასთან, შემცირებასთან ან რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებით მოსახლეობის გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით. ორგანიზაციები ითვალისწინებენ სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციებს მომდევნო წლის სამუშაოების დაგეგმვისას. |
| | 20 თებერვალი - 25 თებერვალი | მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს (2026 წელი) პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად წარუდგენს სამუშაო ჯგუფს. |
| 2027 | 25 თებერვალი - 1 მარტი | მუნიციპალიტეტის მერი ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს |
| | 1 მარტი | მუნიციპალიტეტი ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს აქვეყნებს მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე. |

## თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ფინანსური დოკუმენტები

მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური დოკუმენტებია:




**ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი** არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ; დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ ძირითად პრიორიტეტებსა და პროგრამებზე.

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი** წარმოადგენს მისაღები შემოსულობების (სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა), გასაწევი გადასახდელებისა (გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა) და ნაშთის ცვლილების (წინა წლის დარჩენილი თანხა, რომელიც ვერ დაიხარჯა და მისი გამოყენება ან დაგროვება მოხდება) ერთობლიობას.

15 ნოემბერს მუნიციპალიტეტის მერი პრიორიტეტების დოკუმენტთან და ბიუჯეტთან ერთად საკრებულოს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

- ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი;
- მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის დანართი;

- კაპიტალური პროექტების დანართი;
- იურიდიული პირების დანართი;

## მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის სტრუქტურა

პრიორიტეტების დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას გასულ პერიოდზე (2025 და 2026 წლები), ასევე მომდევნო 4 წლის განმავლობაში (დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი წელი - 2027-2030 წლები) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ ძირითად პრიორიტეტებსა და პროგრამებზე.

პრიორიტეტის დოკუმენტი სამი თავისგან შედგება.



## მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

| დასახელება | 2025 წლის გეგმა | 2025 წლის ფაქტი |
|---|---|---|
| **შემოსულობები** | **52,860.9** | **92,418.6** |
| შემოსავლები | 51,860.9 | 64,561.0 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 1,000.0 | 27,857.6 |
| **გადასახდელები** | **100,553.9** | **67,933.5** |
| ხარჯები | 52,343.3 | 43,743.7 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 48,022.1 | 24,001.3 |
| ვალდებულებების კლება | 188.6 | 188.6 |
| **ნაშთის ცვლილება** | **-47,693.0** | **24,485.0** |

2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 47 693,0 ათას ლარს შეადგენდა. 2025 წელს ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 24 485,0 ათასი ლარი.

## ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 52 860,9 ათ.ლარით, ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 92,418.6 ათ.ლარი, ანუ გეგმის 174,8% .

ათასი ლარი

| შემოსავლის სახეები | 2025 წლის გეგმა | 2025 წლის საკასო შესრულება | სხვაობა +/- | შესრულების % |
|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები, სულ** | **52,860.9** | **92,418.6** | **39,557.7** | **174.8** |
| შემოსავლები | 51,860.9 | 64,561.0 | 12,700.0 | 124.5 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 1,000.0 | 27,857.6 | 26,857.6 | 2,785.8 |

### შემოსავლები

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 51 860,9 ათასი ლარი, ფაქტობრივად
64 561,0 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 124,5% და მთლიანი შემოსულობების (92 418,7 ათასი ლარი) - 69,9% შეადგინა.

2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (59 491,7 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 5 069,3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

1. **გადასახადები**ს სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 38 146,3 ათასი ლარი, 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (30 611,5 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 7 534,8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 22 299,7 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 16 184,9 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) - 1 625,3 ათასი ლარი, ხოლო მიწაზე ქონების გადასახადიდან - 4 443,1 ათასი ლარი.

ქონების გადასახადიდან წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2024 წლის ფაქტი - 17 490,9 ათასი ლარი) შედარებით საანგარიშო პერიოდში 4 808,8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საქართველოს საწარმოთა ქონების გადასახადზე მოდის (2024 წლის ფაქტი - 12 643,3 ათასი ლარი, 3 541,6 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული).

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 15 846,6 ათასი ლარი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (13 120,6 ათასი ლარი) შედარებით 2 726,0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

2. **გრანტები**ს სახით საანგარიშო პერიოდში ჩარიცხულია - 10 603,0 ათასი ლარი, გეგმის - 12 400.0 ათასი ლარის - 85.5% , მათ შორის:

მიზნობრივი ტრანსფერი - 940,6 ათასი ლარი, მათ შორის, ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 291,2 ათასი ლარი, საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის (მთავრობის განკარგულება N302 30.07.2025წ.) - 244,3 ათასი ლარი; (მთავრობის განკარგულება N146 24.01.2025წ.) - 405,1 ათასი ლარი;

კაპიტალური ტრანსფერი - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტებისთვის ჩარიცხულია 6 474,4 ათასი ლარი (მთავრობის განკარგულება N1955 16.01.2025 წ.).

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტებისთვის (მთავრობის განკარგულება N53 16.01.2025წ) - 846,0 ათასი ლარი.

მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისთვის (მთავრობის განკარგულება N1207 30.07.2025წ.) - 450,4 ათასი ლარი;

სპეციალური ტრანსფერი - სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისთვის (მთავრობის განკარგულება N186 30.01.2025 წ.) - 1 285,2 ათასი ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან (მთავრობის განკარგულება N517 21.03.2025 წ.) - 300,0 ათასი ლარი;

კაპიტალური დანიშნულების გრანტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან - საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების უფლებამოსილების დელეგირების მიზნით მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი - 306,5 ათასი ლარი (მთავრობის განკარგულებები N1098 09.07.2025წ. და N1604 30.09.2025წ.).

3. საანგარიშო პერიოდში **სხვა შემოსავლები**სათვის განსაზღვრული 7 430,0 ათასი ლარის ფაქტობრივმა შესრულებამ 15 811,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 212,8%-ია, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (12 827,0 ათასი ლარი) შედარებით 2 984.7 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

საანგარიშო პერიოდში **სხვა შემოსავლების** ფაქტობრივმა მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

**საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 8 162,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 780,0 ათასი ლარი) 293,6%-ია. (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან - 6 475.9 ათასი ლარი - შედარებით 1 686.8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული):

**პროცენტების** სახით საანგარიშო პერიოდში მობილიზებულია 6 202,5 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს. (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან - 4 257.0 ათასი ლარი - შედარებით 1 945.5 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული)

**რენტის** სახით მიღებულია 1 960,2 ათასი ლარი, აქედან: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 1 611,1 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 349,1 ათასი ლარი (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 258,7 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული).

**საქონლისა და მომსახურების** რეალიზაციიდან მობილიზებულია 1 995,0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 650,0 ათასი ლარი) 120,9%-ია, (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან - 2 367.1 ათასი ლარი - შედარებით 372.0 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული):

**ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების** სახით - 1 905,6 ათასი ლარი, მათ შორის: სანებართვო მოსაკრებელი - 1 124,3 ათასი ლარი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის მოსაკრებელი - 764,3 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი -17,0 ათასი ლარი.

**არასაბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი** გაყიდვებიდან 89,5 ათასი ლარი, რომელიც აერთიანებს შემოსავლებს მომსახურების გაწევიდან .

**სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)** მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 5 480,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (3 000,0 ათასი ლარი) 182,7%-ია, (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან - 3 866.8 ათასი ლარი - შედარებით 1 613.7 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული): საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 4 455,1 ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 191,0 ათასი ლარი, შემოსავლები სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 834,5 ათასი ლარი;

**ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 173,3 ათასი ლარი, (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან - 117.2 ათასი ლარი - შედარებით 56.1 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული):

**შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო** დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 88,5 ათასი ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 1,0 ათასი ლარი, სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება - 32,9 ათასი ლარი; ჯართის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი - 1,3 ათასი ლარი; ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანიდან - 49,5 ათასი ლარი.

**არაფინანსური აქტივების კლება**

**არაფინანსური აქტივების კლებიდან** მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 27 857,6 ათასი ლარის შემოსავალი (2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 5 133,0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული).

**ძირითადი აქტივების** გაყიდვიდან მიღებულია 198,5 ათასი ლარი (2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 4 486,7 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული): შენობა-ნაგებობები - 173,0 ათასი ლარი, მანქანა-დანადგარები - 25,5 ათასი ლარი;

**არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან** - 27 659.1 ათასი ლარი. (2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 9 603,0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული).

## ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ

2025 წელს გადასახდელების შესრულების 67.6%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებელზე (81,1%) ნაკლებია, ხოლო თანხობრივად, 2024 წელთან შედარებით, დახარჯულია 2 600,8 ათასი ლარით ნაკლები.

## 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 100 553,9 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 67 993,5 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 68%. მათ შორის:

**ხარჯების** დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 52 343,3 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა - 43 743,7 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 84% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 64,4%.

**არაფინანსური აქტივების ზრდის** დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 48 022,1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 24 001,3 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 50% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 35,3%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 188,6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 188,6 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 100% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 0.3%.

## მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გაწეულმა მთლიანი ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა 43 743,7 ათასი ლარი, მათ შორის:

**„შრომის ანაზღაურების“** მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 6 340,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 5 644,8 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 89%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების (43 743,7 ათასი ლარი) 12,9%-ია.

**„საქონელი და მომსახურების“** მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 14 539,9 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ შეადგინა 9 975,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 68,6%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების (43 743,7 ათასი ლარი) 22,8%-ია.

**„პროცენტის“** მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 8,1 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 8,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან

გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების (43 743,7 ათასი ლარი) 0.02%-ია. ამ მუხლიდან თანხები მიმართულ იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე.

„**სუბსიდიების“** მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 25 349,6 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 24 223,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 95,6%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების (43 743,7 ათასი ლარი) 55,4%-ს შეადგენს.

**„გრანტების“** მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 192,0 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 192,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების (43 743,7 ათასი ლარი) 0,4%-ს შეადგენს.

**„სოციალური უზრუნველყოფის“** მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1 607,0 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 491,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 92,8%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების (43 743,7 ათასი ლარი) 3,4%-ს შეადგენს.

**„სხვა ხარჯების“** მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 4 306,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 2 208,4 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 51,3%, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების (43 743,7 ათასი ლარი) 5%-ია.

**არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის**

**კოდების მიხედვით**

ათასი ლარი

| პროგ. კოდი | არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით | 2025 წლის გეგმა | 2025 წლის ფაქტი | შესრულება, % |
|---|---|---|---|---|
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 205.5 | 120.3 | 58.6 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 42,046.5 | 21,512.8 | 51.2 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1,801.8 | 547.0 | 30.4 |
| 04 00 | განათლება | 993.2 | 351.7 | 35.4 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 2,968.4 | 1,462.8 | 49.3 |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 6.6 | 6.6 | 99.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა, ჯამი | 48,022.1 | 24,001.3 | 50.0 |

## ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულება:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 8 099,1 ათასი ლარი, გეგმის (9 886,0 ათასი ლარი) 81,9%, მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 12%-ს.
- ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 32 079,7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 21 860,3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 68,1%. მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს - 32,3%-ს.
- გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 6 229,3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 4 397,8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 70,6%; მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს - 6,5%-ს.

ამ სფეროში გაერთიანებულია დასუფთავება და ნარჩენების გატანის, მწვანე ნარგავების გაშენების და მოვლა-პატრონობის, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებების ქვეპროგრამების ხარჯები.

- საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 26 668,1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 11 307,5 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 42,4%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს - 16,7%-ს.
- ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 1 640,8 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 1 607,7 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 98%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში - 2,4%-ია.
- დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 8 899,3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 7 271,9 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 81,7%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში - 10,7%-ია.
- განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 12 054,1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 10 832,5 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 89,9%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში -16%-ია.
- სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 2 908,0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2 368,1 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 81,4%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში - 3,5%-ია.

## მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული პრიორიტეტები

პრიორიტეტი **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 33 167,8 ათასი ლარით, გეგმის (58 747,8 ათასი ლარი) - 56,5%;

პრიორიტეტი **დასუფთავება და გარემოს დაცვა** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 4 397,8 ათასი ლარით, გეგმის (6 229,3 ათასი ლარი) – 70,6%;

პრიორიტეტი **განათლება** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 10 832,5 ათასი ლარით, გეგმის (12 054,1 ათასი ლარი) - 89,9%;

პრიორიტეტი **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა** საანგარიშო პერიოდში 7 271,9 ათასი ლარით, გეგმის (8 899,3 ათასი ლარი) - 81,7%;

პრიორიტეტი **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 3 975,8 ათასი ლარით, გეგმის (4 548,9 ათასი ლარი) – 87,4%;

პრიორიტეტი **მმართველობა და საერთო დანიშნულების** ხარჯები საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 8 287,7 ათასი ლარით, გეგმის (10 074,6 ათასი ლარი) - 82,3%.

## მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია 6 პრიორიტეტული მიმართულება:



2027-2030 წლებში პრიორიტეტული მიმართულებების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია შემდეგი თანხები:

ათასი ლარი

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | მომუშავეთა რიცხოვნობა | 2027 წლის პროექტი | 2028 წლის პროგნოზი | 2029 წლის პროგნოზი | 2030 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მცხეთის მუნიციპალიტეტი | 1,688.5 | 61,856.5 | 67,349.0 | 72,942.7 | 76,031.5 |
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 206.0 | 11,994.5 | 12,551.6 | 13,663.6 | 14,416.7 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 162.5 | 13,381.0 | 16,647.4 | 19,478.1 | 20,488.8 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 165.0 | 7,710.0 | 8,060.0 | 8,770.0 | 9,320.0 |
| 04 00 | განათლება | 670.5 | 16,970.0 | 17,070.0 | 17,270.0 | 17,570.0 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 450.5 | 6,685.0 | 7,120.0 | 7,620.0 | 7,765.0 |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 34.0 | 5,116.0 | 5,900.0 | 6,141.0 | 6,471.0 |

ქვემოთ მოცემულია 2027 წელს პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით ფინანსების გადანაწილების მაჩვენებელი.




**პრიორიტეტი - ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (02 00)**

მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის და მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ განმსაზღვრელ წინაპირობას მუნიციპალური და კომუნალური მომსახურების ხარისხი წარმოადგენს, რაც უშუალო კავშირშია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომ გაუმჯობესებასთან. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილებების მნიშვნელოვანი ნაწილი ინფრასტრუქტურულ საკითხებს უკავშირდება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი მუნიციპალური და კომუნალური მომსახურების ინფრასტრუქტურის განვითარება და მართვის მდგრადი სისტემის დანერგვა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მოთხოვნილებებს, უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ათასი ლარი

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება | 2027 წლის პროექტი | 2028 წლის პროგნოზი | 2029 წლის პროგნოზი | 2030 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| 02 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 13,381.0 | 16,647.4 | 19,478.1 | 20,488.8 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 2,586.0 | 4,567.4 | 6,928.1 | 7,248.8 |
| 02 01 01 | გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება | - | 2,000.0 | 2,000.0 | 2,000.0 |
| 02 01 02 | გზების კაპიტალური შეკეთება | 2,586.0 | 2,567.4 | 4,928.1 | 5,248.8 |
| 02 02 | წყლის სისტემების განვითარება | 3,400.0 | 3,540.0 | 3,600.0 | 3,650.0 |
| 02 02 01 | სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა | 1,700.0 | 1,700.0 | 1,700.0 | 1,700.0 |
| 02 02 02 | სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია | 1,500.0 | 1,600.0 | 1,650.0 | 1,700.0 |
| 02 02 03 | საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 200.0 | 240.0 | 250.0 | 250.0 |
| 02 03 | გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია | 2,170.0 | 2,200.0 | 2,240.0 | 2,260.0 |
| 02 03 01 | გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია | 2,170.0 | 2,200.0 | 2,240.0 | 2,260.0 |
| 02 03 01 01 | გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება | 1,500.0 | 1,500.0 | 1,500.0 | 1,500.0 |
| 02 03 01 02 | გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა | 670.0 | 700.0 | 740.0 | 760.0 |
| 02 04 | მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია | 100.0 | 120.0 | 120.0 | 120.0 |
| 02 05 | სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება | 1,700.0 | 2,300.0 | 2,550.0 | 2,600.0 |
| 02 06 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 1,155.0 | 1,280.0 | 1,350.0 | 1,420.0 |

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება | 2027 წლის პროექტი | 2028 წლის პროგნოზი | 2029 წლის პროგნოზი | 2030 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| 02 06 01 | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (სკვერები და მოსაცდელები) | 400.0 | 450.0 | 450.0 | 450.0 |
| 02 06 02 | დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა | 155.0 | 180.0 | 200.0 | 220.0 |
| 02 06 03 | სადღესასწაულო ღონისძიებები | 600.0 | 650.0 | 700.0 | 750.0 |
| 02 08 | სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია | 120.0 | - | - | - |
| 02 09 | მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება | 2,150.0 | 2,640.0 | 2,690.0 | 3,190.0 |

## პრიორიტეტი - დასუფთავება და გარემოს დაცვა (03 00)

განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების პარალელურად მნიშვნელოვანია რეკრეაციული ფართობების ინტენსიური ზრდა და არსებულის მოვლა-პატრონობა. ამასთან ერთად უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს უსაფრთხო გარემო და სანიტარული მდგომარეობის ყოველწლიური გაუმჯობესება.

ათასი ლარი

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება | 2027 წლის პროექტი | 2028 წლის პროგნოზი | 2029 წლის პროგნოზი | 2030 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 7,710.0 | 8,060.0 | 8,770.0 | 9,320.0 |
| 03 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 7,080.0 | 7,340.0 | 8,000.0 | 8,500.0 |
| 03 02 | მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა | 630.0 | 720.0 | 770.0 | 820.0 |

## პრიორიტეტი - განათლება ( 04 00)

თვითმმართველობის მნიშვნელოვან პრიორიტეტებში მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებით და ზოგად განათლებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას. განათლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტი ახორციელებს სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების უზრუნველყოფას, საჯარო სკოლების მე-11 და მე-12 კლასის წარჩინებული მოსწავლეების წახალისებას ფულადი ჯილდოთი.

ათასი ლარი

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება | 2027 წლის პროექტი | 2028 წლის პროგნოზი | 2029 წლის პროგნოზი | 2030 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| 04 00 | განათლება | 16,970.0 | 17,070.0 | 17,270.0 | 17,570.0 |
| 04 01 | სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა | 16,910.0 | 17,000.0 | 17,200.0 | 17,500.0 |
| 04 04 | ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა | 60.0 | 70.0 | 70.0 | 70.0 |

## პრიორიტეტი - კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (05 00)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება თვითმმართველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. კულტურის სფეროში გასატარებელი ღონისძიებების შედეგად მცხეთის მუნიციპალიტეტი უნდა წარმოჩინდეს კულტურული სამყაროს ღირსეულ წევრად. მუნიციპალიტეტი თავის მხრივ ხელს უწყობს კულტურისა და ხელოვნების სფეროს წარმომადგენელთა განვითარებას. დემოკრატიული განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით ახალგაზრდობა თანამედროვე ქვეყნებში ერთ-ერთ ყველაზე დიდ ფასეულობას წარმოადგენს. ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარებისა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პროპაგანდისათვის თვითმმართველობა განაგრძობს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლინება, როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

ათასი ლარი

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება | 2027 წლის პროექტი | 2028 წლის პროგნოზი | 2029 წლის პროგნოზი | 2030 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 6,685.0 | 7,120.0 | 7,620.0 | 7,765.0 |
| 05 01 | სპორტის სფეროს განვითარება | 3,087.0 | 3,250.0 | 3,355.0 | 3,475.0 |
| 05 02 | კულტურის სფეროს განვითარება | 3,598.0 | 3,870.0 | 4,265.0 | 4,290.0 |

## ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ათასი ლარი

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება | 2027 წლის პროექტი | 2028 წლის პროგნოზი | 2029 წლის პროგნოზი | 2030 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 5,116.0 | 5,900.0 | 6,141.0 | 6,471.0 |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | 2,000.0 | 2,520.0 | 2,730.0 | 3,030.0 |
| 06 02 | სოციალური დაცვა | 3,116.0 | 3,380.0 | 3,411.0 | 3,441.0 |

## მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (01 00)

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორიცაა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება და სხვა. ასევე, მოიცავს საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის პროგრამის ხარჯებს, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და

სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, სესხის მომსახურების და ვალების დაფარვის ხარჯებს, მუნიციპალური არქივის დაფინანსებას, მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის ხელშეწყობას.

ათასი ლარი

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება | 2027 წლის პროექტი | 2028 წლის პროგნოზი | 2029 წლის პროგნოზი | 2030 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 11,950.0 | 12,539.0 | 13,286.0 | 14,007.0 |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა | 11,535.0 | 12,124.0 | 12,871.0 | 13,592.0 |
| 01 01 01 | მუნიციპალიტეტის საკრებულო | 1,928.0 | 1,984.0 | 2,019.0 | 2,030.0 |
| 01 01 02 | მუნიციპალიტეტის მერია | 9,526.0 | 10,054.0 | 10,759.0 | 11,469.0 |
| 01 01 04 | საჯარო მოხელეთა პროფესიული სწავლება | 81.0 | 86.0 | 93.0 | 93.0 |
| 01 02 | საერთო დანიშნულების ხარჯები | 415.0 | 415.0 | 415.0 | 415.0 |
| 01 02 01 | სარეზერვო ფონდი | 300.0 | 300.0 | 300.0 | 300.0 |
| 01 02 02 | წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა | 100.0 | 100.0 | 100.0 | 100.0 |
| 01 02 04 | მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა | 15.0 | 15.0 | 15.0 | 15.0 |

## ❖ ბიუჯეტის სტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური მონაცემები წარმოდგენილია გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის. მაგალითად, 2027 წლის ბიუჯეტში არის ინფორმაცია 2025 და 2026 წლების ფინანსური მაჩვენებლების შესახებ.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემდეგი თავებისგან შედგება:




**პირველი თავი შედგება შემდეგი მუხლებისგან:**

**მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

ამ მუხლში მოცემულია მთელი ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია:

✓ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის რა სხვაობაა (საოპერაციო სალდო);

✓ არაფინანსური აქტივების ცვლილება რამდენია (მუნიციპალური ქონების შექმნისთვის დახარჯულ თანხასა და ქონების გაყიდვის შედეგად მიღებულ თანხას შორის სხვაობა );

✓ მთლიანი სალდოს მოცულობა, ანუ ბიუჯეტი პროფიციტულია თუ დეფიციტური. ეს კი იანგარიშება საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება;

✓ შემდეგ გამოითვლება ბიუჯეტის ბალანსი - გაანგარიშებისას მთლიანი სალდოს მაჩვენებელს აკლდება ფინანსური აქტივების ცვლილების მაჩვენებელი და ემატება ვალდებულებების ცვლილების (მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ახალი ვალის მოცულობას გამოკლებული ძველი ვალის დასაფარად გათვალისწინებული ძირითადი თანხა) მაჩვენებელი.

**მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია თუ რამდენი იქნება ბიუჯეტის:

✓ **შემოსულობები:** შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) და ვალდებულების ზრდა;

✓ **გადასახდელები:** ხარჯები, არაფინანსური აქტივების ზრდა, ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) და ვალდებულების კლება;

✓ **ნაშთის ცვლილება:** ნაშთი არის ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ფულადი, ხოლო ნაშთის ცვლილება არის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების გამოყენება ან დაგროვება;

**მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობის შესახებ

- ✓ გადასახადები
- ✓ გრანტები
- ✓ სხვა შემოსავლები;

**მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**

ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია, თუ რამდენი თანხა შემოვა ბიუჯეტში შემდეგი გადასახადებიდან:

✓ ქონების გადასახადი;
✓ დღგ;

## მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია, თუ რამდენი თანხა შემოვა ბიუჯეტში გრანტებიდან:
✓ დონორებისგან მიღებული თანხები;
✓ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები: მიზნობრივი , კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები

## მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია, თუ რამდენი თანხა შემოვა ბიუჯეტში სხვა შემოსავლებიდან, როგორიც არის:
✓ პროცენტი;
✓ რენტა;
✓ მოსაკრებლები;
✓ ჯარიმები, საურავები და სხვა.

## მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები;

ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია, თუ რა თანხაა გათვალისწინებული ყოველწლიურად გასაწევი ხარჯებისთვის, როგორიც არის:
✓ შრომის ანაზღაურება;
✓ საქონელი და მომსახურება;
✓ სუბსიდია;
✓ პროცენტი;
✓ გრანტი;
✓ სოციალური უზრუნველყოფა;
✓ სხვა ხარჯი;

## მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება;

**ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ზრდისა და კლების შესახებ:**

✓ არაფინანსური აქტივების ზრდა - ქონების შეძენა და კაპიტალური პროექტების განხორციელება;

✓ არაფინანსური აქტივების კლება - მუნიციპალიტეტის მიერ ქონების (შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, ინვენტარი, მიწა) გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები.

## მუხლი 9. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია;

ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია ბიუჯეტიდან ხარჯებსა და არაფინანსური აქტივების ზრდაზე ერთად რამდენი იხარჯება ფუნქციონალურ ჭრილში:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება (701);
- თავდაცვა (702);
- ეკონომიკური საქმიანობა (704);
- გარემოს დაცვა (705);
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა (706);
- ჯანმრთელობის დაცვა (707);
- დასვენება, კულტურა და რელიგია (708);
- განათლება (709);
- სოციალური დაცვა (710).

## მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო;

ამ მუხლში წარმოდგენილია ინფორმაცია ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდოს მოცულობის შესახებ.

## მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება;

ამ მუხლში წარმოდგენილია ინფორმაცია, თუ რა თანხა დაიხარჯება ბიუჯეტიდან ფინანსური აქტივების ზრდაზე და რა თანხა შემოვა ბიუჯეტში ფინანსური აქტივების კლებიდან:

✓ მუნიციპალიტეტის ფინანსური აქტივი იზრდება, როდესაც მუნიციპალიტეტი სესხს გასცემს, ან შპს-ს აფინანსებს, ან დეპოზიტზე დებს თანხას;

✓ ფულად სახსრები, რომელიც მუნიციპალიტეტის მიერ მის საკუთრებაში არსებული ფინანსური რესურსების (ვალუტა და დეპოზიტები, მუნიციპალიტეტის მიერ გასესხებული თანხა, აქციები და სხვა კაპიტალი) გამოყენებიდან მიიღება, არის შემოსულობა ფინანსური აქტივის კლებიდან;

## მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება;

ამ მუხლში წარმოდგენილია ინფორმაცია, რამდენ ვალს იღებს მუნიციპალიტეტი და ძველი ვალიდან რა თანხას ფარავს.

✓ ვალდებულებების ზრდა - არის ფულადი სახსრები, რომელიც მუნიციპალიტეტს ვალის (საგარეო და საშინაო) აღების შედეგად აქვს. მუნიციპალიტეტს სესხის აღება მხოლოდ საქართველოს მთავრობის ნებართვით შეუძლია;

✓ ვალდებულებების კლება - მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალის ძირითადი თანხის დაფარვა.

➢ ბიუჯეტის მეორე თავში მოცემულია პრიორიტეტების, პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერა , მიზნები და მოსალოდნელი საბოლოო/შუალედური შედეგები, ხოლო შედეგების შეფასების ინდიკატორები (საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები, ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკები) კი მოცემულია პროგრამული ბიუჯეტის დანართში.




მუნიციპალიტეტების პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ✓ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00);
- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00);
- ✓ დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00;
- ✓ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00);
- ✓ განათლება (პროგრამული კოდი 04 00);
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00);

**მესამე თავში** წარმოდგენილია ინფორმაცია პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის გამოყოფილი ასიგნებების შესახებ. ეს ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს გასული, მიმდინარე და დასაგეგმი წლების მიხედვით.

**ბიუჯეტის მეოთხე თავში** კი წარმოდგენილია ინფორმაცია მარეგულირებელი ნორმების შესახებ, კერძოდ, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის შესახებ. 2027 წელს ფონდის მოცულობა 300,0 ათასი ლარია. ასევე, მოცემულია ინფორმაცია მიზნობრივი ტრანსფერის შესახებ და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მომზადებულია პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №385-ის (2011 წლის 8 ივლისი ქ. თბილისი) მიხედვით.

## მცხეთის მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 2027 წლისთვის

### ❖ შემოსულობები

ადგილობრივი თვითმმართველ ერთეულებს გააჩნიათ როგორც საკუთარი ფულადი სახსრები - საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები, სახელმწიფო (ან ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან) ბიუჯეტიდან ან სხვა დონორებისგან მიღებული ფინანსური რესურსები, ასევე შეუძლია ვალის აღება - ყველაფერი ეს ბიუჯეტის შემოსულობებს წარმოადგენს.




ბიუჯეტის შემოსულობები არის ბიუჯეტში შემოსული ფულადი სახსრების ერთობლიობა, რომელსაც მუნიციპალიტეტი იღებს ზემოთ მოცემული 4 ძირითადი წყაროდან.

❖ **შემოსავლები:** გადასახადები (ქონების გადასახადიდან და დამატებითი ღირებულების გადასახადიდან წილი), გრანტები და სხვა შემოსავლები (ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული სამივე სახის შემოსავალი);

❖ **არაფინანსური აქტივების კლება** - არის მუნიციპალიტეტის მიერ გასაყიდად გატანილი ქონებიდან მიღებულ ფულად სახსრები.
მუნიციპალიტეტს შემდეგი სახის არაფინანსური აქტივები აქვს:

- ✓ *ძირითადი აქტივები* (შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და ინვენტარი და სხვა);
- ✓ *არაწარმოებული აქტივები (მიწა);*

როდესაც მუნიციპალიტეტი შენობა-ნაგებობას ან მიწას ყიდის, მას ქონება აკლდება, თუმცა ბიუჯეტში ფული შემოსდის, ამიტომ ქონების გაყიდვიდან მიღებულ თანხებს არაფინანსური აქტივების კლება ჰქვია.

❖ **ფინანსური აქტივების კლება** - არის ფულად სახსრები, რომელიც მუნიციპალიტეტის მიერ მის საკუთრებაში არსებული ფინანსური რესურსების გამოყენებიდან მიიღება.
კერძოდ, ფინანსური აქტივებია:

- ✓ *ვალუტა და დეპოზიტები*
- ✓ *სესხები (მუნიციპალიტეტის მიერ გასესხებული თანხა)*
- ✓ *აქციები და სხვა კაპიტალი*

❖ **ვალდებულებების ზრდა** - არის ფულადი სახსრები, რომელიც მუნიციპალიტეტს ვალის აღების შედეგად აქვს. კერძოდ, ვალდებულებებია:

- ✓ *საგარეო ვალი*
- ✓ *საშინაო ვალი*

მცხეთის მუნიციპალიტეტის შემოსულობების მაჩვენებელი 2027 წლისთვის 61 812.0 ათასი ლარია, აქედან შემოსავლები 59 612.0 ათასი ლარია, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 2 200,0 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი 2027 წლის განმავლობაში გაიზრდება. ამასთან, ნაშთი (ფინანსური აქტივების კლება) 0,0 ათასი ლარია (არ არის დაგეგმილი ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული თავისუფალი სახსრების (ნაშთის) გამოყენება).

## შემოსავლები

მუნიციპალიტეტის შემოსულობების მთავარი წყარო შემოსავლებია. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახადებიდან 47 139.0 ათასი ლარის შემოსვლა იგეგმება (მთელი შემოსავლების 79.1%), გრანტებიდან - 318,0 ათასი ლარის, ხოლო სხვა შემოსავლებიდან - 12 155,0 ათასი ლარის (მთელი შემოსავლების 20,4%).

## გადასახადები

გადასახადები შედგება:

❖ ქონების გადასახადისგან - 2027 წელს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში **ქონების გადასახადიდან 22 000,0** ათასი ლარის მობილიზებაა დაგეგმილი. ამ თანხას იხდიან როგორც

იურიდიული, ისე ფიზიკური პირები.

❖ დამატებული ღირებულების გადასახადისგან (დღგ) - 2027 წელს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დღგ-დან 25 183,5 ათასი ლარი შემოვა.

სახელმწიფო ბიუჯეტში შესული დღგ-დან 19 პროცენტი ნაწილდება მუნიციპალიტეტებს შორის. გადანაწილება შემდეგი წესის მიხედვით ხდება:

✓ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის რაოდენობის - 60%;
✓ 6 წლამდე ბავშვთა რაოდენობის - 15%;
✓ 6-დან 18 წლამდე მოზარდთა რაოდენობის - 10%;
✓ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის;
✓ მუნიციპალიტეტის ფართობის - 5%;

ამ სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე განისაზღვრება თანხის მოცულობა მუნიციპალიტეტებისთვის. მცხეთის მუნიციპალიტეტი მუნიციპალიტეტებისთვის განკუთვნილი **დღგ**-ს წილიდან იღებს 0,91%-ს, რაც ნომინალურ გამოხატულებაში საორიენტრაციოდ შეადგენს 25 183,5 ათას ლარს.

## გრანტები

ბიუჯეტის მე-5 მუხლში მოცემულია **ინფორმაცია გრანტების (ტრანსფერების) შესახებ.** მუნიციპალიტეტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებენ ტრანსფერებს.
მცხეთის მუნიციპალიტეტი 3 სახის ტრანსფერს იღებს:

✓ **მიზნობრივი ტრანსფერი** - დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით ფინანსური დახმარების სახით მიღებული სახსრები;
✓ **კაპიტალური ტრანსფერი** - გამოიყოფა კაპიტალური პროექტის განსახორციელებლად. კაპიტალური ტრანსფერი არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება, რომელიც დაკავშირებულია ტრანსფერის მიმღების არაფინანსური აქტივების ზრდასთან;
✓ **სპეციალური ტრანსფერი** - სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად.

მცხეთის მუნიციპალიტეტის შემოსავლები გრანტებიდან 318,0 ათასი ლარით (მიზნობრივი ტრანსფერი) არის დაგეგმილი.

## სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის მე-6 მუხლში მოცემულია ინფორმაცია სხვა შემოსავლებიდან მიღებული ფულადი სახსრების შესახებ.

!!! რას მოიცავს სხვა შემოსავლები:

▪ **შემოსავლები საკუთრებიდან:** პროცენტი (კომერციულ ბანკში არსებული დეპოზიტიდან მიღებული პროცენტი); რენტა (მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის; შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან);

▪ **საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია:** ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები (მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე; სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი; ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი და სხვ.), არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება (შემოსავლები მომსახურების გაწევიდან);

▪ **ჯარიმები, სანქციები და საურავები:** საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო, სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო.

▪ **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული ტრანსფერები** - ისეთი სახის შემოსავლები, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში არ შედის: შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანიდან, სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან და სხვა.

2027 წელს მცხეთის მუნიციპალიტეტის **სხვა შემოსავლები 12 155,0** ათას ლარს შეადგენს. აქედან შემოსავლები საკუთრებიდან 4 950,0 ათასი ლარია, საიდანაც 3 000,0 ათასი ლარი არის პროცენტიდან შემოსავალი, ხოლო 1 950,0 ათასი ლარი რენტაა, მათ შორის, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 1 550,0 ათასი ლარი, ხოლო შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან 400,0 ათასი ლარი.

**საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის კატეგორიიდან 2 195,0** ათასი ლარის მობილიზებაა დაგეგმილი; აქედან, სანებართვო მოსაკრებლიდან 900,0 ათასი ლარი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან - 1 200,0 ათასი ლარის, ხოლო არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან დაგეგმილია 80,0 ათასი ლარის მიღება.

**სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან** 4 850,0 ათასი ლარის მობილიზებაა დაგეგმილი;

**შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან** 160,0 ათასი ლარის მობილიზებაა დაგეგმილი;

## მუნიციპალიტეტის გადასახდელები

ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა ბიუჯეტის გადასახდელებს წარმოადგენს.




**!!! რას გულისხმობს ეს ტერმინები:**

**ხარჯები:** მიმდინარე გასაწევი ხარჯები;
**არაფინანსური აქტივების ზრდა** - ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და ინვენტარის შეძენა;
როდესაც მუნიციპალიტეტი რაიმე სახის ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებს, ან 500 ლარზე მეტი ღირებულების ტექნიკას ყიდულობს, არაფინანსური აქტივები ეზრდება.

**ფინანსური აქტივების ზრდა** - როდესაც მუნიციპალიტეტი სესხს გასცემს, ან შპს-ს აფინანსებს, ან დეპოზიტზე დებს თანხას. ამ ოპერაციების შედეგად მუნიციპალიტეტის ფინანსური აქტივები იზრდება;

**ვალდებულებების კლება** - მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალის ძირითადი თანხის დაფარვა;

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დაგეგმილი მაჩვენებლით გადასახდელები 61 856,5 ათასი ლარია, აქედან 56 918,5 ათასი ლარი ხარჯებია, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა - 4 938,0 ათასი ლარი.

## ხარჯები

მუნიციპალიტეტის ხარჯები შემდეგ ძირითად კატეგორიებად იყოფა: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სოციალური უზრუნველყოფა და სხვა ხარჯები.

„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ ფინანსთა მინისტრის ბრძანებით N99 (05.04. 2019 წელი) განსაზღვრულია, თუ რას უნდა მოიცავდეს თავად ეს კატეგორიები:

✓ **შრომის ანაზღაურება:**

მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა ხელფასები, პრემია-დანამატი, კომპენსაცია;

✓ **საქონელი და მომსახურება:**

- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება;
- მივლინება; ოფისის ხარჯები, კომპიუტერული ტექნიკა - (კომპიუტერი, პრინტერი, სკანერი,უწყვეტი კვების წყარო, კომპიუტერული ტექნიკის აქსესუარები და სხვა); საოფისე ავეჯი; შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯები; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, (ექსპლუატაციისა) და მიმდინარე რემონტის ხარჯები; კავშირგაბმულობის ხარჯები; საფოსტო მომსახურების ხარჯები;
- კომუნალური ხარჯები;
- წარმომადგენლობითი ხარჯები (საქართველოს მოქალაქეებზე გაწეულ წარმომადგენლობით ხარჯებს, აგრეთვე, იმავე ღონისძიებების ფარგლებში უცხოელ სტუმრებზე გაწეული ხარჯები);
- ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაცია და მოვლა-შენახვა;
- მიმდინარე რემონტი;
- შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯები;
- კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები და სხვა.

✓ **პროცენტი**: მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალის მომსახურების პროცენტი საგარეო და საშინაო ვალდებულებებზე;

✓ **სუბსიდიები**: სუბსიდიები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების და შპს-ებისთვის მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერს;

✓ **გრანტი:** გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს. მაგალითად, სახელმწიფო ა(ა)იპ-ებისთვის;

✓ **სოციალური უზრუნველყოფა**: სხვადასხვა სოციალური დახმარება;

✓ **სხვა ხარჯები:** საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა;

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შეადგენს 61 812,0 ათას ლარს. ქვემოთ მოცემულ გრაფიკულ სურათზე წარმოდგენილია მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების კატეგორიების პროცენტული გადანაწილება.




## ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა (ფუნქციონალური კლასიფიკაცია)

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მე-9 მუხლში წარმოდგენილია ინფორმაცია, თუ რა ხარჯები იქნება გაწეული დარგების მიხედვით (ფუნქციონალურ ჭრილში) და რა თანხა დაიხარჯება არაფინანსური აქტივების ზრდისთვის.

აღნიშნული მუხლი მოიცავს შემდეგ სფეროებს:

✓ **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება:** აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა; ვალთან დაკავშირებული ოპერაციები;

✓ **ეკონომიკური საქმიანობა:** საავტომობილო ტრანსპორტი და გზები;

✓ **გარემოს დაცვა:** ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა; გამწვანება;

✓ **საბინაო-კომუნალური მეურნეობა:** წყალმომარაგება; გარე განათება; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში;

✓ **ჯანმრთელობის დაცვა:** საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება; მოქალაქეების მკურნალობის და ოპერაციების ხარჯების დაფინანსება;
✓ **დასვენება, კულტურა და რელიგია:** მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში; მომსახურება კულტურის სფეროში; რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა;
✓ **განათლება:** სკოლამდელი აღზრდა; სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა; ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა;
✓ **სოციალური დაცვა:** ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა; ხანდაზმულთა სოციალური დაცვა; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა; სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯები; დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება და სხვა.

## ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა (ფუნქციონალური კლასიფიკაცია)

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მე-9 მუხლში წარმოდგენილია ინფორმაცია, თუ რა ხარჯები იქნება გაწეული დარგების მიხედვით (ფუნქციონალურ ჭრილში) და რა თანხა დაიხარჯება არაფინანსური აქტივების ზრდისთვის.

აღნიშნული მუხლი მოიცავს შემდეგ სფეროებს:
✓ **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება:** აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა; ვალთან დაკავშირებული ოპერაციები;
✓ **ეკონომიკური საქმიანობა:** საავტომობილო ტრანსპორტი და გზები;
✓ **გარემოს დაცვა:** ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა; გამწვანება;
✓ **საბინაო-კომუნალური მეურნეობა:** წყალმომარაგება; გარე განათება; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში;
✓ **ჯანმრთელობის დაცვა:** საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება; მოქალაქეების მკურნალობის და ოპერაციების ხარჯების დაფინანსება;
✓ **დასვენება, კულტურა და რელიგია:** მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში; მომსახურება კულტურის სფეროში; რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა;
✓ **განათლება:** სკოლამდელი აღზრდა; სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა; ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა;
✓ **სოციალური დაცვა:** ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა; ხანდაზმულთა სოციალური დაცვა; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა; სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯები; დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება და სხვა.

მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის **ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდისთვის 61 856,5** ათასი ლარია განსაზღვრული:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 11 994,5 ათასი ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა - 5 041,0 ათასი ლარი
- გარემოს დაცვა - 7 710,0 ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 8 340,0 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა - 2 000,0 ათასი ლარი;
- დასვენება, კულტურა და რელიგია - 6 685,0 ათასი ლარი;
- განათლება - 16 970,0 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა -3 116,0 ათასი ლარი;




## მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტით არ არის დაგეგმილი ახალი ვალის აღება.